

საპარტეზლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 იანვარი, პირადა, 1988 წ. № 22 (9688) შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ინგა გილაურს კიდე პირტი პრინჯაოს ვადალი

გაუზინ ლენინგრადის სპორტულ-საკონცერტო დარბაზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ციკლოტურბით სწრაფბენაში. გოგონებს შორის 5000 მეტრ დისტანციაზე ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოველმა სვეტლანა ბოიკომ — 7.48,98, II ადგილზე გავიდა ირინა ბოგატოვა (ნიუნი ტაგლი) — 7.52,24, პრინჯაოს მედალი, ისევე როგორც 8000 მეტრზე აქაც წილად ზვდა თბილისელ ინგა გილაურს — 7.54,29.

ვაჟა დანელია, ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.



ეროვნული გიგლიორთი

როგორც ამ დღეებში ვიუწყებოდით, თბილისში, კიროვის სახელობის პარკის კლათბურთის სტადიონზე პირველად ჩატარდა სტუდენტ ვაჟ კლათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიმდევნა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების 70-ე წლისთავს. ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა ახალგაზრდობის მასხინძე — თბილისის უნივერსიტეტის პირველი გუნდი, რომელმაც გადაწყვეტა პაქროში ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებს სძლია — 99:95. მესამე ადგილზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები გავიდნენ. სურათზე: ერთმანეთს ხვდებიან თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდები. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ქაღრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი

ნაბები და პერაბი საინტენტი

სპორტში წამებთან ბრძოლა ხშირად თითქმის ყველა სახეობის განუყოფელი თანამგზავრად მიიჩნევათ, გარდა ჯადრეისა, სადაც მეტოქეები აუღელვებლად, უფრო სწორად, ოლიმპიური სიმშვიდით თამაშობენ და თითქოს დროის სრბოლას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ თუ რას ნიშნავს ჯადრეის წამები და მისი „გაფლანგვით“ წარმოშობილი ვეგარი ციტირები, ამაში პრეტენდენტ ქალთა მეორე ტურის შეხვედრებშიც დაგვარწმუნა.

იცავდა თავს — თითქმის ყველა მეტოქის მოგერიება შეძლო და... ციტირები. სპეციალისტების აზრით; ჩვენს ახალგაზრდა დიდოსტატს ორად-ორი წამი რომ ჰქონოდა მოსაფიქრებლად, მას შეეძლო უკეთესი სვლა გაეკეთებინა. — ლაზიერის მოულოდნელი შეწირვით იგი პარტიას თავის სასარგებლოდ დაამთავრებდა, მაგრამ არახამიამ უარესი სვლა გააკეთა და იქვე ამოიწურა პირველი საკონტროლო დრო. თამაშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, არახამია დანებდა.

ნანა იოსელიანისა და ირინა ლევინას შეხვედრაში მეტოქეებმა სიცილოური დაცვის მწვავე ვარიანტი გაითამაშეს. მართალია, ნანამ ცენტრალური პაიკი დათმო და ხარისხი მოიგო, მაგრამ პოზიციის უარესად გამწვავდა. სამწუხაროდ, ამ კრიტიკულ მომენტში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სწორი გეგმა ვერ აირჩია, იმის მაგივრად, რომ ლაზიერები გაეცვალა და პარტია ენდშილში გადაეყვანა, მან ლაზიერის ფრთაზე პაიკის მოგება იჩქარა და უმალ მეტოქის უმძაფრეს კონტრეირის ქვეშ მოჰყვა. იოსელიანი იძულებული გახდა ეტლსა და კუში დაეთმო ლაზიერი, მაგრამ პოზიციის იმდენად უარესად აღმოჩნდა, რომ იძულებული გახდა მეტოქეს დანებებოდა.



მაშინ, როცა დაფაზე მთავარი ამბები დატრიალდა, დარჩენილ 20 სველაზე ქეთევანს ხუთად ხუთი წუთი ჰქონდა დარჩენილი. ცხადია, მან ვერ გაართვა თავი ყველა პრობლემას, მისი მეფე მწვავე იერიშის ქვეშ აღმოჩნდა.

ესევე ციტირებმა ითამაშა მთავარი როლი ელენა ახმლოვსკაიასა და ნანა ალექსანდრიას ორთაბრძოლაში. ნიშნოების დაცვის ერთ-ერთ ვარიანტში სწრაფად გაიცივლა ლაზიერები, მიტელშილში ნანამ შეძლო ხარისხის მოგება, მაგრამ ამ პოზიციას, როცა თითქმის მისი უპირატესობა ხელშესახები იყო, იგი ბევრს ფიქრობდა და ბოლო ათ სველაზე წამებდა ჰქონდა დარჩენილი. მართალია, ალექსანდრია ბოლომდე ენერგიულად იბრძოდა, მაგრამ მაინც ვერ მოასწრო მე-40 საკონტროლო სვლის გაკეთება და დამარცხდა.

ნანა გაფრინდავილმა კარგად გამოიყენა მიტელშილში მიღებული უპირატესობა პოლონეთის ჩემპიონ ანდრეა ბრუსტმანთან შეხვედრაში, პაიკი მოიგო და ზუსტი სვლებით არც გასჭირვებია ამ ტურნირში პირველი გამარჯვების მოპოვება. ამრიგად, ორი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს მარტა ლიტინსკაია, რომელსაც 2 ქულა აქვს. 1,5-1,5 მოაგროვეს ნონა გაფრინდავილმა, ელენა ახმლოვსკაიამ და ირინა ლევინამ.

თამაზ ხარაბაძე, „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

წყალტუბო.

თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჟიდაოვანი

ოლიმპიადამდე ოლიმპიადამდე ფიქრით




ოლიმპიადამდე შეიძლება თვით ადრე ვერც ერთ შეჯიბრებას შესარჩევს ვერ უწოდებთ. სხვათა შორის, მწვრთნელიც ვერ დაგისახელებთ ნაკრები გუნდის წევრებს, ვინაიდან შეიძლება თვე, ფაქტიურად, მთელი სეზონია და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.


გაპყვებათ. ეს კარგად იციან მოქილავებმა და ძალბას არც ერთ შეხვედრაში არ ზოგავენ. პირველ ორ წრეში მოულოდნელი თითქოს არაფერი მომხდარა, თუმცა რამდენიმე შეხვედრა განსაკუთრებულად მწვავედ და დამაბუღლად წარიმართა. მძიმე წონა (130 კგ), სა-

ერთოდ, ყველა შეჯიბრებაში, პრეტეტულ და ამავე დროს დეფიციტურ წონად ითვლება, აი, თბილისში კი იგი 19 მოქილავით არის წარმოდგენილი (ოთხი მათგანი — დამთავრებული). ზაზა თურმანიძე, გიორგი ვალდავა და ლევან ებანოძე საქართველოდანია. პირ-

ველ წრეში ერთ-ერთი ცენტრალური ბრძოლა ვიქტორ ზანგიევსა და ზაზა თურმანიძეს შორის გაიმართა. ძალები აქ იმდენად თანაბარი იყო, რომ შეხვედრისთვის განკუთვნილი ძირითადი დრო ფრედ (2:2) დამთავრდა. ახალი წესების თანახმად დაინიშნა დამატებითი დრო პირ-



რველ ილეთამდე, მაგრამ მეტოქეებმა ვერაფერი მოუხერხეს ერთმანეთს. და მაინც გამარჯვება მე-9 წუთის მიწურულს ზანგიევს მიეკუთვნა. თურმანიძეს სხვა არაფერი ჰქონდა დარჩენილი — პირველი წრის წარუმატებლობა მეორეში უნდა აენაზღაურებოდა, მაგრამ... მეტოქე თომას ბიბოთან (გდრ) არ გამოცხადდა და ქართველ მოქილავს გამარჯვება უბრძოლველად მიეკუთვნა.



ქართული ტანვარჯიშის აკადემია

ტანვარჯიშის სამყარო მას კარგად იცნობს — არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში... პოლონეთში. ყველანაირი პატივითა და სიყვარულით მოიხსენიებენ, ყველას უნდა მისი მეგობარი თუ არა, უბრალო ნაცნობი მაინც იყოს.

მეშვიდე ათეულში გადადგა ფეხი ნოდარ ბახუტაშვილმა — მრავალი ნიჭიერი ოსტატების აღმზრდელმა. მისი ყოფილი შეიქმნა დღეს თვითონაც მწვერულზე მდებარე მუშაობენ, საყვარელ ამბროსელს კი კვლავინდებურად „ნოდარ მასწავლებელს“ ეძახიან. უყვართ ბატონი ნოდარი — მზრუნველი, თავდაუზოგავი კაცი, ერთი დღეც რომ არ უღალატია ტანვარჯიშისთვის. ტანვარჯიში კი 10 წლისა დასრულდა. მამინ თბილისის 28-ე სკოლაში სწავლობდა, ბებელის (ახლანდელი ერეკლეს) მოედანზე. ფიზკულტურის მასწავლებლად აქ ხომ თვით ლექსო ბაიდონივილი მუშაობდა, ტანვარჯიშის უსახლკაროდ მოყვარული, თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე. თითქმის ყველა მოსწავლე თანხმობდა ტანვარჯიშის გამოსულიყო. გაკვეთილებს შემდეგ ყველა სპორტულ სექციაში მიიქცეოდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მესხეთელები — ვალერი ასათიანი, დედო ცხიბთათარიშვილი, ცილა მაკარაშვილი, ეთერ გავლიძე... შემდგომში ყველა სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი და რესპუბლიკის ნაკრების წევრი გახდა. დღეს ცნობილი ვინეკოლოგი გივი ბაქრაძე და არქიტექტორი თენგიზ ჭირაქაძე იმხანად ფარეაობაში ვარჯიშობდნენ, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მომავალმა მარჯვენა მცველმა თენგიზ კუბლაშვილმა კი იმთავითვე „თავისი“ სახეობა აირჩია. ნ. ბახუტაშვილმა ტანვარჯიში არ იკმარა — და ფარეაობაშიც ვარჯიშობდა — ამ სახეობაში იგი პირველად მოხერხდა სპორტსმენი და საკავშირო კატეგორიის მსახური გახდა. ბატონმა ნოდარმა ამას წინააღმდეგობა გაუწია და სიყვარულით გაიხსენა ის დღეები, როდესაც მწვერულზე ლევ გოლოვინის ხელმძღვანელობით კორტეგონამდის და ოთარ ლიბებულის მესთან ერთად ოთხი წლის განმავლობაში ბესიკის ქუჩაზე მდებარე „დინამოს“ სპორტდარბაზში ვარჯიშობდა. ერთხელ თურმე ვით „ჩემპიონთა ჩემპიონს“ ვიშაბოლსკის შეხვდა. ნოდარი მამინ ჩვიდმეტი წლისა გახლდათ. სპეციალისტები კარგ მოფარეაობებს ხელდავდნენ მასში, მაგრამ...

წლის ახალგაზრდულ პირველობაში და ძალზე გახარებულნიც იყვნენ გამარჯვებით. სომხეთის გუნდში ნოდარს ყველაზე მეტად მოეწონა თავისი თანატოლი, მკედლეების დინასტიკური გამოსული 14 წლის კუნთმადარი ბიკი ალბერტ აზარიანი — ასევე მომავალი „ოქროს ოლიმპიელი“.

1941 წლის ზაფხულში კიევიში მოსწავლეთა საკავშირო სპორტკლუბში დასრულდა ნოდარის სპორტული და მისი ამხანაგებს ავარჯიშებდნენ ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორიც იყვნენ ნიკოლოზ მახვილაძე, კოკა თაყაიშვილი, ნიკოლოზ გუგუნიძე (ამჟამად პროფესორი ცნობილი ქირურგი-ტრავმატოლოგი), მიშა იმნაძე, კოსტია გრომოვი, შოთა კაკაურიძე. შეკრებას, რომელიც თბილისის პიონერთა სსახლის დარბაზში ტარდებოდა, თვით გიორგი ეგნატაშვილი ხელმძღვანელობდა.

ნოდარს განსაკუთრებით მოსწონდა ტიპი. ამ იარაღზე რესპუბლიკის მოსწავლეთა ჩემპიონი გახდა, ხტომებში მესამე ადგილზე გავიდა, ი. ლერძე კი, პირდაპირ გეტყვით, არაფერი გამოხდოდა. ქაბუჯი სულ იმ ოცნებაში იყო, რომ „ლერძის მეფის“, ბატონ შურა ჯორჯაძის „წყალი გადასხმოდა“. ორქულზე, ცხაღია, ნიკოლოზ თაყაიშვილის მხაძეადა, ტაქზე — რაყენ იმნაძეს. რაც შეეხება გულო რეხილიძის „თავისუფალს“ და გოგოლა ბაბილოძის „როგოებს“, ეს ახალგაზრდა ტანვარჯიშითათვის მართლაც აუხდენელი ოცნება იყო. გულის სიღრმეში კი ყველაზე დიდ პატივს მიაჩნ ქართული ტანვარჯიშის მოპოვანს გიორგი ეგნატაშვილს სცემდა. ავი ამიტომაც იმთავითვე ნოდარმა მწვერულის გზა აირჩია, ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისამ, როდესაც ლ. ბაიდონივილმა სკოლაში რეკავიანი გზაზე ჩააბარა — შენც ივარჯიშე და ესენიც ამეცადინეო. ბიჭები თავად ალაგებდნენ დარბაზს, კერავდნენ ლეინებს, ახლებდნენ იარაღს. 1947 წელს ნოდარ ბახუტაშვილი საქართველოს ნაკრების მაშინდელმა უფროსმა მწვერულმა კოკა მედიარო-

ანმა ტანვარჯიშის მასწავლებლად მიიწვია ფიზკულტურის ტექნიკუმში. ორ წელიწადს იმუშავა ნოდარმა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ნიკო კეცხოველმა და ფიზკულტურის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა დავით ქაბუჯაძემ არ „გადაიბირეს“ ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტი. კარგი გუნდი შეიქმნა — ნოდარ მავალიანი, ალექო ფარულავა, ვახტანგ კულუბეგაშვილი, ნოდარ ფალავანიძე, ვილი, ბელო გიორგობანი, ზიგურდი გვეტაძე, ალექსანდრე ნარიშკინი, თათარ ქორჭია, ნოდარ გავლიძე, დავით და რუსლან პერტენავები, გივი კორკოტაძე, მინილ ბოგუჯი. ყოველი მათგანი საქართველოს ჩემპიონი ან პრიზიორი იყო, რესპუბლიკის ნაკრების წევრი. გუნდი საკავშირო უმაღლესი სასწავლებლების ოთხგზის ჩემპიონი გახდა ზედიზედ, მისი ექვსი წევრი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს. ნოდარ ბახუტაშვილი სსრ კავშირის დამსახურებული მწვერთელი გახდა და 1961 წელს მის საქართველოს ნაკრებში ჩააბარეს, სადაც ზემოდასახელებულთა გარდა ვარჯიშობდნენ რევაზ კაპხიძე, სოზარ აღნიშვილი, ელვარდ ოსიპოვი, თემო ასათიანი და სხვა. ნაკრებში ნ. ბახუტაშვილი შეიღწეოდა მუშაობა უფროს მწვერთელად, ვინც 1968 წელს საკავშირო სპორტკომიტეტის წინადადებით ექვსი წლით პოლონეთში გაიგზავნებოდა ადგილობრივი ოლიმპიური ნაკრების უფროს მწვერთელად. პოლონეთის ნაკრებში ახალი მწვერთელის ხელმძღვანელობით უკვე მეორე წელსვე ლიდერთა გზაზე შევიდა — ლუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა, სსრ კავშირის, იაპონიისა და გერმანიის გუნდების შემდეგ. ბახუტაშვილს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული მწვერთელის საპატიო წოდება მიენიჭა.

1975 წელს ნ. ბახუტაშვილი უნივერსიტეტის ტანვარჯიშითა გუნდსა და რესპუბლიკის ნაკრებში დაუბრუნდა, სადაც ნიჭიერი ოსტატები აღზარდა: ქვეყნის სპარტაკილის ჩემპიონი ახალგაზრდებში ავირან ბერიანიძე, ჯონო ალთუნაშვილი, ავთანდილ კუბრაშვილი. 1986 წლიდან კი ე. წ. ახალგაზრდა ტანვარჯიშითა რეზერვს უდგას სათავეში. მისი დღევანდელი მოწაფეებიდან განსაკუთრებით გამოიჩინებენ 14-15 წლის ნოვარჯიანი — კოტე ჩითინაშვილი, თემურ მენაბდიშვილი, დათო სვანიშვილი, თემურ ბარნაშვილი, ლერი არჩვაძე...

სსრ კავშირისა და პოლონეთის დამსახურებულმა მწვერულმა, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა, საკავშირო კატეგორიის მსახურ ნოდარ ბახუტაშვილმა 60-მდე სპორტის ოსტატი აღზარდა. ეს ოცნებები, ცხაღია, საბოლოო არ არის.

ოთარ ნოზაძე.

გაიმარჯვა ალექსი ლაზარაშვილმა

თბილისის ჭადრაკის სახალხო დამატორსა ჭადრაკის სახალხო პირველობის ფინალურ ტურნირში. 17 შეხვედრის შემდეგ 14 ქულა გაიმარჯვა. თბილისის 31-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ, 15 წლის ოსტატობის კანდიდატმა ალექსი ლაზარაშვილმა (მწვერთელი რეზერვ მწვერული), მანვე მიიღო საქართველოს პირველობის პირველი ლიგის საგზური.

12,5 ქულით 11 ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი მერაბ თხელოძე, მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ოსტატობის კანდიდატი იური ნეჩაივი.

ამ მოქალაქეებმა მოიპოვეს საქართველოს პირველობის შესარჩევ ტურნირის საგზურები.

ღანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ირაკლი ლეშიაშვილი — 11,5, დემურ სირბილაძე — 10, არტურ თენიშვილი — 9,5, რევაზ სიგუა, კახა ნაბურაშვილი — 9,5, ვასილ ვაშაძე — 9, თორნიკე კერძია, გეგმა ბიბინიშვილი, ვიქტორ ტახტაროვი — 8,5-8,5, თემურ გათიკოვი — 8, ზურაბ ჩახუა — 6,5, ვაჟა გიორგაშვილი — 6, რამბერტ თახლუაშვილი — 4,5, კახა ნეშელიძე, თენგიზ ლომაძე — 2,5-2,5.

მოკლულ

როსტაშვილი. ამ დღეებში ჩატარდა მოსწავლეთა ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: სამეხა — ნასამებარი — კოტაური — ჯიხეთის

მონასტერი. მისმა მონაწილეებმა დაათვალიერეს ჯიხეთის მონასტერი, შემდეგ კი ჩატარდა მოძარევი თამაშობები. საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება პნევმატური თოფით სროლაში, სადაც ყველას შეეძქეს კლასებში აყოფენ.

დავით ზურაბანიძე.

„პროფითი რეზერვების“ სანტარული საგზურის პირველობა ქიზლოში

სხრა მედალი ერთი შეჯიბრებით

„პროფითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოში ძიულ სულ უფრო პოპულარული ხდება. სპორტსმენებს მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებს როგორც ამ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს, ისე საქართველოს სახელმწიფო პროფტექნობათა კომიტეტი. ამის ერთ-ერთი მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ამის წინააღმდეგობა თბილისის 154-ე პროფტექნიკური სასწავლებელში, რომლის დირექტორია სპორტის დიდი მოყვარული, სოციალისტური შრომის გმირი გრუზო ოზოლაძე გახლავთ, კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი გამოუყვეს და ვა-

რჯისის ჩინებული პირობები შეუქმნეს.

ძიულთსიტების მიმართ ასეთ ზრუნვასა და ყურადღებას გამართლება უნდა და ამართლებენ კიდევ — ახლანდის ტამბოვი გაიძიროთა „პროფითი რეზერვების“ საქართველოში პირველობა, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა პირად პირველობაში ოთხ-ოთხი პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს. სასიხარულოა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ის ოთხ-ოთხი ოქროს და ვერცხლის მედალი თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართულ ფანალბებში მოიპოვეს, ასე მოხდა, 60 და შიშიუ წონის მრეიდვეთა პაექრობაში, აგრეთვე აბსოლუტურ პირველობაში. ჩვენი სპორტსმენ-

ები ჩემპიონები გახდნენ: გივლა აღბეგოვი (60 კგ), გურასიმე ხაბულიანი (65), ზაზა დაბურდანიშვილი (მძიმე წონა) და კობა გურუშიძე (აბსოლუტური კატეგორია).

ვერცხლის მედლები მოიპოვეს ზელმან გულბინა (60), თამაზ მუთოშვილი (78), კობა გურუშიძე (მძიმე), ბესიკ მათიკვილი (აბსოლუტური კატეგორია).

ამას გარდა, საქართველოს კიდევ სამმა წარმომადგენელმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილები დაიკავეს: მამუკა მახათაძე (56), ვეფხია ნანუაშვილი (71) და ჯონდო დაბურდანიშვილი, რომელმაც ორი ბრინჯაოს მედალი (მძიმე და

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში) დაიმსახურა.

ბუნებრივია, ასეთი წარმატების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გუნდურ პირველობაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს (41,5 ქულა). მეორე იყო რუსეთის (23), ხოლო მესამე — ყაზახეთის ნაკრები (19).

ჩვენს გუნდს ამ შეჯიბრებისთვის ვაჟა ბალაშიშვილი, მეგლუდ დანიძე, ხეთოსო წიკლაური, რამაზ სიღაძინიძე და მალხაზ შეშაბერიძე უფროსი მწვერთელის, საქართველოს დამსახურებული მწვერთელის ვახტანგ კრლაშვილის ხელმძღვანელობით აშალებდა.

პირიდან პირადად

„პრაპდა“ — 24 იანვარი. „ფიზკულტურაზე და უკულტურობაზე“. წერილი ლაპარაკია სკოლის მერხიდანვე მოხარებულ ფიზიკური კულტურის ჩვენების ჩანერგვა-მომუშავეების აუცილებლობაზე, სხვა საკითხებზე.

„იშვხბინა“ — 26 იანვარი. „ტრენინგ ვადრანია... წინასწარ“. უკვე რამდენიმე წელიწადია, საქართველოში ჩემპიონატის კალენდარი ფუნდურით ძალზე არითმული და არაეკონომიურია.

„სომეხები სპორტში“ — 27 იანვარი. რუმბორის „გულხანდილი თანამოსაზრებე“ სტუმრები უფრო ხშირად ცნობილი სპორტსმენები და სპეციალისტები იყვნენ. ამჯერად

კორესპონდენტი ე. მილკოვი ესაუბრება ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს მ. ერმოლოვს.

28 იანვარი. „საქართველო და არასაქართველო სელეზი“. სსრ კავშირის ცენტრალური საქართველო კლუბის ყოფილი დირექტორი ვ. ბატურინსკი უარყოფითა აფასებას გარი კასპაროვის. საწინააღმდეგო გამოსულ წიგნს „გარდაქმნის შეილა“.

28 იანვარი. დავებოლი ტრავმა... შეუძლებელია? ამის თაობაზე თავის აზრს გამოთქვამს მედიკოსის მეცნიერებათა დოქტორი ს. მირიანოვი წერილი „სასწრაფო“ სირიენ ტოვებს... სტალიონს“.

30 იანვარი. „რუსულის გაკვეთილები ემირატებში“. გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ვ. გოლოვინის წერილი იმეჭვება რუმბორიკით „მშვიდობის დესპანები“ — ყველა კონტინენტზე“.



